



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბანკარბულება

2018 წლის 21 ივნისი

№ 67


თბილისი

**შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ (ს/ნ: 204972155) ობლიგაციების
ემისიის საბოლოო პროსპექტის დამტკიცებისა და სასესხო ფასიანი
ქაღალდებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების
თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-11 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 აგვისტოს N79/04 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა ობლიგაციების ემისიის, საჯარო შეთავაზების და განთავსების ანგარიშების შესახებ წესის“ მე-4 მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის N73/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ (ს/ნ: 204972155) ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი.
2. დამტკიცებული ემისიის საბოლოო პროსპექტის რეგისტრაცია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ (ს/ნ: 204972155) ახლად ემიტირებულ სასესხო ფასიან ქაღალდებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE2700603659.

4. წინამდებარე განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიას“ ახლად ემიტირებული ფასიანი ქაღალდებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.
5. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.



კ. გვენეტაძე